ჯილდო თავდადებული შრომისთვის

საქართველოს სს რესპუბლიკას გადაეცა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 54 (5863)

1977 წ. 19 მარტი. შაბათი.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1924 წლის 18 აპრილიდან

დიდი დაძაბული შრომის ღირსეული ჯილდო — საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების ნათელი სიმბოლო — გარდამავალი წითელი დროშა, სურათზე: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა.

ო. თურქიას, გ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შეჯიბრებაში გამარჯვებულთა ზეიმი

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

საზეიმოდ მორთულა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზი. საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის წითელ ქსოვილზე ელვარებს სიტყვები: „დიდება შრომას!“. ალამს ამშვენებს რესპუბლიკისათვის მინიჭებული ორი ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენები.

სცენის სიღრმეში მოჩანს მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბარელიეფი.

დროშასთან, რომელიც აღმშენებლობითი შრომისათვის გადაეცა რესპუბლიკას, საპატიო ყარაულში ერთმანეთს ცვლიან მეომრები.

აქ 17 მარტს გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივისა და სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკური დაწესებულებების, დიდი საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

დილის 10 საათია. პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, შ. კ. შარტავა, ნ. ა. პითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი**, იმ საწარმო-ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებიც მეათე ხუთწლედის პირველი წლის შედეგებისათვის დაჯილდოვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

კრების მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე **ნ. ა. პეტროვიჩევი.**

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ზ. ა. პატარიძემ.**

დარბაზში შეკრებილმა ამხანაგებმა ხანგრძლივი ტაშის გრიალით, უდიდესი აღმავლობით აირჩიეს კრების საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველ მოადგილეს **ნ. ა. პეტროვიჩევს**, რომელმაც საკავშირო გარდამავალი დროშა გადასცა რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

შემდეგ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. შევარდნაძე**, რომელმაც გააკეთა მოხსენება საქართველოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის საქმეში“.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **თ. ნ. მენთეშაშვილი**, ზუგდიდის რაიონის ონარიის საბჭოთა მეურნეობის ჩაის საკრეფი მანქანის მექანიკოსი მძღოლი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **დ. ვ. ჩაბალუხა**, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. რ. პაპუნიძე**, „თბილისქალაქმშენის“ № 14 ტრესტის № 10 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი **ა. მ. სმირნოვი**, საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი **გ. დ. მგელაძე**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი **რ. ბ. გორდეზიანი**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **პ. ვ. მელნიკოვი**, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსი **რ. ა. თხელიძე**, ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს თევზსარეწი ტრაულერის „ოქტიაბრსკის“ კაპიტან-დირექტორი **უ. ლ. იოსელიანი**, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობა „დურიფშის“ თავმჯდომარე **ი. ხ. ტარკილი**, საბჭოთა კავშირის მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორი **ბ. ვ. მინდელი**, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი **მ. ლ. მდივანი**, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **თ. ე. აბულაძე**, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი **დ. ბ. სტურუა**, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი **თ. ა. ბოქსაძე**, მწერალი **გ. ლ. ასათიანი**, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **დ. ნ. მოსესოვი**, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი **მ. ნ. ადეიშვილი.**

კრების მონაწილეთა ტაშის გრიალში წაიკითხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დეპეშა კასპის ცემენტის ქარხნის შიფერის წარმოების მემანქანის **შ. გ. ნატროშვილისადმი.** დეპეშაში ლეონიდ ილიას ძე მადლობას უძღვნის მუშას, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცების ლენინური კურსის განხორციელებისათვის.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია. კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევისადმი.**

კრების მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი, რომელზეც გამოვიდნენ რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატები და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

(საქინფორმი).

ხალხისთვის მარად ცოცხალი

16 მარტს ათასობით თბილისელი შეიკრიბა გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძის ძეგლის საზეიმო გახსნაზე. აქ მოვიდნენ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილენი, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული მუშაკები, პარტიის ვეტერანები, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის წარმოგზავნილნი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომართა წარმომადგენლები.

ტრიბუნაზე არიან ამხანაგები **ა. ინაური, გ. კოლბინი, პ. მელნიკოვი, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ზ. ჩხეიძე, შ. შარტავა, ნ. პითანავა, ს. ხაბეიშვილი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე **ნ. პეტროვიჩევი**; აქვეა სერგო ორჯონიკიძის ქალიშვილი **ე. ორჯონიკიძე**, რომელიც თბილისში ჩამოვიდა ძეგლის საზეიმო გახსნაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ** ლენტი გადაჭრა და ძეგლს საბურველი ჩამოშორდა. შეკრებილთ წარმოუდგათ რევოლუციის უშიშარი მებრძოლისა და პარტიის ერთგული შვილის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც საქართველოს სახალხო მხატვარმა **კ. მერაბიშვილმა** და არქიტექტორმა **გ. ჯაფარიძემ** შექმნეს.

საზეიმო მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **თ. მენთეშაშვილმა.** სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის წევრი 1918 წლიდან **ა. გიორგაძე**, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ხინთბა**, ქალაქ ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ მუშა **ა. გაბარაევი**, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **უ. შარტავა**, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **გ. აბაშიძე** და სხვები.

სპორტის პროპაგანდისტთა დასახმარებლად

ეძღვნება სახელოვან იუბილეს

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1977 წლის 31 იანვარს მიიღო დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ". ამ დიდი ზეიმისათვის მზადებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რჩევა მისცა მოკავშირე რესპუბლიკების კპ ცენტრალურ კომიტეტებს გაატარონ ორგანიზაციული და საგიტაციო-პროპაგანდისტული ღონისძიებანი ზეიმის მომზადებისა და მოწყობისთვის. ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებს, საზოგადოება „ცოდნისა" და სხვა ორგანიზაციებს დაევალათ „შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მომავალ იუბილესთან დაკავშირებით".

ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგების წარმომადგენლები პრესით, რადიოთი, ტელევიზიისა და სხვა პროპაგანდისტული საშუალებებით მოსახლეობას ფართოდ გააცნობენ 60 წლის მანძილზე მოპოვებულ წარმატებებს. ცხადია, ფართოდ უნდა გაშუქდეს წარმატებები ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგშიც. ჩვენი ვალია მოსახლეობას ვუჩვენოთ საბჭოთა ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების კანონზომიერებანი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის როლი ამ დიდ სახალხო საქმეში.

ამასთან დაკავშირებით, გაზეთმა „ლელომ" გადაწყვიტა მიაწოდოს მოხსენებათა თეზისები იმათ, ვინც წარდგება დიდი თუ მცირე აუდიტორიის წინაშე, როგორც სპორტის პროპაგანდისტი. გასაგებია, რომ წინამდებარე თეზისების სტრუქტურა და შინაარსი დოგმას არ წარმოადგენს, მაგრამ მათი გათვალისწინება, ვფიქრობთ, დაეხმარება ლექტორ-პროპაგანდისტებს სალექციო თუ სასაუბრო ტექსტების შედგენაში. თეზისების ავტორია დოცენტი **ავთანდილ ციბაძე**, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში 60 წლის მანძილზე

1. პირველ ყოვლისა, მსმენელს უნდა გავაცნოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან დღემდე საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული განვითარების ძირითადი ეტაპები. გამოიყვეთა სამი ძირითადი პერიოდი: კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლისა (1917-1937 წწ.), სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა (1938-1958), განვითარებული სოციალიზმისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისა (1959-1977 წწ).

2. რევოლუციამდელ რუსეთში ფიზიკური კულტურა და სპორტი განვითარების დაბალ დონეზე იდგა, რასაც თავისი პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზები ჰქონდა. ახალი რევოლუციური აღმავლობით შეშფოთებულ მეფის მთავრობას არც ახლა ეცალა ამ საქმისთვის. „რუსეთის იმპერიის მოსახლეობის ფიზიკური განვითარების მთავარი საზედამხედველო", რომელიც ფაქტიურად ფიზკულტურული მოძრაობის ერთადერთ სახელმწიფო ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა, ძირითადად დაკავებული იყო სპორტულ წრეებსა და გუნდებში სპორტსმენთა პოლიტიკური შეხედულებების შემოწმებითა და ამასთან დაკავშირებით საჭირო ზომების მიღებით. 1908 წლის ლონდონის IV ოლიმპიურ თამაშებში მეფის რუსეთმა მხოლოდ 5 სპორტსმენის გამოყვანა შეძლო. 1912 წელს იგი სტოკჰოლმის V ოლიმპიადის მონაწილე 28 ქვეყნიდან XV-XVI ადგილზე აღმოჩნდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთში არ იყვნენ კარგი სპორტსმენები. საყოველთაოდ ცნობილი გახდა მოჭიდავეების ი. პოდდუბნის, ი. ზაიკინის, ი. შემიაკინის, ი. აბულაძის, მოთხილამურეების პ. ბიჩკოვის, მ. გოსტევის, მოციგურავეების ნ. სტრუნიკოვის, ვ. იპოლიტოვის, ნ. პანინის, ძალოსნების ლ. ჩაპლიგინის, ა. ბუხაროვის, გ. ჩიკვაიძის, მოფარიკავე ზაკოვოროტის, მძლეოსან ვ. არხიპოვისა და სხვათა სახელები. მაგრამ ხალხის წიაღიდან გამოსული ტალანტები მეფის ხელისუფლების ზრუნვას მოკლებული იყვნენ და ბევრი მათგანი ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა შორის არ გვხვდება (ცხადია, აქ მხედველობაში არ გვყავს პროფესიონალი სპორტსმენები, რომლებსაც თვით ოლიმპიური კომიტეტი უღობავდა გზას ამ ასპარეზობისკენ).

3. ჯერ კიდევ 1905 და 1917 წლების რევოლუციების მომზადების პერიოდში რევოლუციური რაზმების საერთო მზადების პროგრამაში ფართოდ იყო ჩართული ფიზიკური ვარჯიშობანი: ფარიკაობა ჯოხებით, უიარაღოს ბრძოლა შეიარაღებულთან, ბარიკადების გადალახვა, სროლა, ნიჩბოსნობა, მუშტი-კრივი, ჭიდაობა, ქვის მიზანში ტყორცნა და სხვა სამხედრო-გამოყენებითი ხელობანი. პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, თბილისისა და სხვა ქალაქების გარეუბნები რაზმელთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების პოლიგონს წარმოადგენდა. თბილისის გარეუბნებში, მაგალითად, ამ მიზნით გამოყენებული იყო მლაშე ტბების (ამჟამად თბილისის ზღვის), სოლოლაკის, ზედაზნის მიდამოები.

4. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საფუძველი დაუდო ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მძლავრ აღმავლობას. მან საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას შეუქმნა ორი საფუძველი — მატერიალური და იდეური. ყველა, კერძო თუ სახელმწიფო სპორტული ბაზა გადაეცა ხალხს; გამოიყო სახსრები ახალი ბაზების მშენებლობისთვის; ფიზკულტურული მოძრაობის ძველი დანიშნულება ახალგაზრდობის მომზადება მეფის ერთგულ ჯარისკაცებად შეიცვალა სრულიად ახალი იდეური მიმართულებით — ხელის შეწყობა ადამიანთა კომუნისტური აღზრდისათვის, მათი მომზადება სოციალისტური შრომისა და ქვეყნის თავდაცვისათვის.

ოქტომბრის რევოლუციამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაზეც. მან ხელი შეუწყო მსოფლიო სპორტული მოძრაობის დემოკრატიზაციას.

5. სამოქალაქო ომის პერიოდშივე საბჭოთა ფიზიკური კულტურა ქვეყნის თავდაცვის სამსახურში ჩადგა. პარტიის VII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე 1918 წლის 22 აპრილს შეიქმნა საყოველთაო სამხედრო სწავლების ორგანო „ვსევობუჩი", რომელიც ხელმძღვანელობდა 16-40 წლის ასაკის მოსახლეობის სამხედრო აღზრდას. მომავალ მებრძოლთა ფიზიკური მომზადების მიზნით „ვსევობუჩში" ფართოდ იყო გამოყენებული თამაშები, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, თხილამურები. მიუხედავად მძიმე პირობებისა, საბჭოთა ქვეყანამ მაინც შეძლო 1920 წელს ჩაეტარებინა ისეთი დიდი სპორტული ღონისძიებები, როგორიც იყო სამხარეო ოლიმპიადები: ციმბირისა — ომსკში, შუა აზიისა — ტაშკენტში, ურალისა — ეკატერინოსლავში, ჩრდილო კავკასიისა — სტავროპოლში.

1923 წელს, ზემდგომი ორგანოების დადგენილებით დაიშალა ჩვენი ქვეყნისათვის უცხო „სოკოლი", „სკაუტი", „მაკაბი", „ბოგატირი" და სხვა სპორტული ორგანიზაციები. ამ პერიოდში და შემდეგაც საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის იდეურ მხარეს ასაზრდოებდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მოძღვრება ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის საკითხებზე. ასე ჩაეყარა საფუძველი ფორმით ეროვნულ და შინაარსით ინტერნაციონალურ საბჭოთა ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, მის შემდგომ განვითარებას.

6. ლექცია-საუბრების ჩატარებისას გამოკვეთილად უნდა იყოს ნაჩვენები ჩვენი პარტიის წარმმართველი როლი საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით მითითებული ლიტერატურის საფუძველზე უნდა დახასიათდეს ზემდგომი ორგანოების 1925 წლის 13 ივლისის, 1929 წლის 23 სექტემბრის, 1948 წლის 27 დეკემბრის და მომდევნო პერიოდის სხვა პარტიული დოკუმენტები (სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959, 1966, 1968 წლების დადგენილებები, სკკპ ახალი პროგრამა, სკკპ XXIV და XXV ყრილობების მასალები და სხვ.), რომლებშიც დასახულია ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების კარდინალური გზები ამა თუ იმ ეტაპზე.

7. სსრ კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის ერთ-ერთ მთავარ საგანს მუდამ წარმოადგენდა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელობის ფორმების დახვეწა და განვითარება. 1918 წელს საბჭოთა ქვეყანაში ფიზიკურ კულტურასა და სპორტს „ვსევობუჩი" ხელმძღვანელობდა (თუმცა მისი ძირითადი საქმიანობა ხალხის სამხედრო მომზადება იყო); 1920 წელს „ვსევობუჩთან" შეიქმნა ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო, როგორც სათათბირო ორგანო; 1930 წელს სსრკ აღმასკომთან დაარსდა ფიზიკური კულტურის საკავშირო საბჭო, რომელიც 1936 წელს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტად გადაკეთდა. 1959 წელს კომიტეტის ნაცვლად შეიქმნა სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირი, ხოლო შემდეგ, რაკი გამოირკვა, რომ ღონისძიება ნაადრევი იყო, ეს საზოგადოებრივი ხელმძღვანელი ორგანო 1968 წელს ისევ შეიცვალა სახელმწიფოებრივი — ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტით.

8. საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარება წარმოუდგენელი იყო სპეციალისტთა მომზადების მტკიცე სისტემის შექმნის გარეშე. „ვსევობუჩში", ისევე როგორც სხვა სამხედრო-ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, პირველ ხანებში მეფის არმიის ოფიცრები და ჯარისკაცებიც იყვნენ მოწვეული; მათი იმედით შორს წასვლა ცხადია, არ შეიძლებოდა. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით 1918 წელს მოსკოვში გაიხსნა ექვსთვიანი კურსები, რომელიც 1920 წელს ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით ინსტიტუტად გადაკეთდა. 1919 წელს პეტროგრადში შეიქმნა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, რომელიც ცნობილი მოღვაწის პ. ფ. ლესგაფტის სახელს ატარებს. დღეს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურის 23 ინსტიტუტია. საქართველოში ჯერ კიდევ 1933 წელს შეიქმნა ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი. 1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ფიზიკური კულტურის ფაკულტეტი, რომელიც 1938 წელს დამოუკიდებელ ინსტიტუტად გადაკეთდა. მის გარდა, რესპუბლიკაში ფიზკულტურული კადრების აღზრდას ემსახურება 6 ფაკულტეტი ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, გორისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

9. საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი მუდამ მისი მასობრიობა იყო. მუშაობის ამ ფორმის განვითარებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი მშდ კომპლექსის შემოღებამ, რომელსაც ჯერ კიდევ 1931 წელს ჩაეყარა საფუძველი ლენინური კომკავშირის თაოსნობით. ერთი წლის შემდეგ შეიქმნა უფრო გართულებული II საფეხური, ხოლო 1934 წელს ეს საქმე დაგვირგვინდა ბავშვთა ფიზკულტურული კომპლექსის ბმშდ-ს შექმნით. შემდგომში კომპლექსი სისტემატურად იცვლებოდა, იხვეწებოდა და უახლოვდებოდა ეპოქის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს; ასე იყო 1940, 1942, 1946, 1958, 1972 წლებში. უკანასკნელად იგი ხუთსაფეხურიანი კომპლექსით შეიცვალა.

მასობრივი სპორტის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ნებაყოფლობითმა სპორტულმა მოძრაობამ. 1923 წელს იქმნება საზოგადოება „დინამო", 1935 წელს — „სპარტაკი", 1936-37 წლებში ჩვენს ქვეყანაში ნებაყოფლობით სპორტულ მოძრაობას უკვე 86 საზოგადოება ემსახურებოდა. ასევე ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების ერთ-ერთ მასობრივ წყაროდ იქცა საკოლმეურნეო სოფელი, საშუალო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები.

ყოველივე ამან საგრძნობლად გაზარდა ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა რიცხვი. თუ 1940 წელს მათი რაოდენობა 5,3 მილიონს აღწევდა, 1950 წლისათვის ეს ციფრი 14 მილიონამდე ავიდა, 1958 წელს — 20 მილიონამდე, ხოლო ამჟამად 60 მილიონს აჭარბებს.

10. მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის მაღალმა დონემ თავისთავად განაპირობა სპორტული მუშაობის სწრაფი განვითარება ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სპორტის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა — ცალკეული სპორტული საზოგადოებების („დინამო", „სპარტაკი"), სასწავლო დაწესებულებების (მოსკოვისა და ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტები, მინსკის ტექნიკუმი), ცალკეული სპორტსმენების დაჯილდოებამ ორდენებითა და მედლებით, 1939 წელს ფიზკულტურის საკავშირო დღის შემოღებამ, 1936 წელს ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის მიღებამ, ხოლო ორი წლით ადრე — სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების დაწესებამ.

ამ პერიოდში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მძლეოსნები ს. და გ. ზნამენსკები, ა. პუგაჩევსკი, ნ. დუმბაძე, ე. გოკიელი, დ. იოსელიანი; ტანმოვარჯიშეები, გ. რცხილაძე, ი. შეფერი, ა. ვაშჩირინა; ძალოსნები ნ. შატოვი, გ. პოპოვი, ს. ამბარცუმიანი; მოკრივეები ნ. კოროლიოვი, ა. ნავასარდოვი, გ. ვართანოვი; ფეხბურთელები გ. ფედოტოვი, ძმები სტაროსტინები, ა. აკიმოვი, ბ. პაიჭაძე, შ. შავგულიძე, ა. პონომარიოვი; მოციგურავეები კ. კუდრიავცევი, მ. ისაკოვა და სხვები.

ომამდელი პერიოდის პირველ დიდ საერთაშორისო წარმატებად მიჩნეულია საბჭოთა სპორტსმენთა გამარჯვება ანტვერპენის მუშათა ოლიმპიურ თამაშებში 1937 წელს, თუმცა სსრ კავშირის წარგზავნილებს საერთაშორისო ასპარეზზე მანამდეც ბევრჯერ უსახელებიათ თავი.

11. საბჭოთა სპორტისა და მასობრივი ფიზიკური კულტურის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფორმად იქცა ისეთი კომპლექსური ღონისძიება, როგორიცაა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. ამ ასპარეზობას ჯერ კიდევ 1928 წელს ჩაეყარა საფუძველი. მაშინ ფინალურ შეჯიბრებაზე 7225 სპორტსმენი ჩავიდა მოსკოვში, მათ შორის 600 უცხოეთიდან. საგანგებოდ ამ ღონისძიებისთვის აშენდა მოსკოვის „დინამოს" სტადიონი. მაშინ ამიერკავკასიის სპორტული კოლექტივი V ადგილზე გავიდა. საერთოდ კი სპარტაკიადების რეგულარული ჩატარება დაიწყო 1956 წლიდან. შემდგომში ეს დიდი შეჯიბრებები მოეწყო 1959, 1963, 1967, 1971, 1975 წლებში. საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ პირველ ოთხ სპარტაკიადაში მე-5 ადგილი დაიკავა, მომდევნო ორ ასპარეზობაში კი VI და VII ადგილები.

12. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები ოლიმპიური თამაშებისათვის საბჭოთა სპორტსმენთა მომზადების ერთ-ერთ საშუალებად იქცა. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის წარგზავნილები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ 1952 წლიდან (ჰელსინკი, XV ოლიმპიადა), როცა 494 ქულით I-II ადგილები გაიყვეს აშშ-ის სპორტულ დელეგაციასთან. შემდგომში — მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებში მათ 126 ქულით გაუსწრეს მთავარ მეტოქეს, რომის XVII ოლიმპიადაში — 220 ქულით, ტოკიოს XVIII ოლიმპიადაში — 28 ქულით, მეხიკოს XIX ოლიმპიადაში საბჭოთა დელეგაცია 109 ქულით ჩამორჩა აშშ-ის სპორტულ კოლექტივს. 1972 წელს მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენებმა კვლავ აიღეს რევანში და 29 ქულით გაუსწრეს ამერიკელებს, ხოლო მონრეალში, სადაც 1976 წელს XXI ოლიმპიადა ჩატარდა, ეს სხვაობა 160 ქულამდე გაიზარდა. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენები 1956 წლიდან მონაწილეობენ (კორტინა დ'ამპეცო, VII ოლიმპიადა) და მხოლოდ 1968 წელს გრენობლში X თამაშებში დათმეს პირველობა (VIII ოლიმპიადა გაიმართა 1960 წელს სკვო-ველიში, IX — 1964 წელს ინსბრუკში, XI — 1972 წელს საპოროში და XII — 1976 წელს ინსბრუკში).

ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენთა მონაწილეობასთან დაკავშირებით აუცილებელია სამი მომენტის გამოყოფა. ჯერ ერთი, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სსრ კავშირი არის საერთაშორისო სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, რაც მთავარია, ამ ასპარეზობაში შეაქვს მეგობრობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის სულისკვეთება. მეორეც, სათანადოდ უნდა გაშუქდეს ოლიმპიური თამაშების მსოფლიო პოლიტიკური მნიშვნელობა და ამ ასპარეზობაში მოპოვებული გამარჯვებებით ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული დონის დემონსტრირების შესაძლებლობანი და ბოლოს, ნაჩვენები უნდა იქნეს საბჭოთა ოლიმპიური გუნდის გამარჯვებაში საქართველოს სპორტსმენთა წვლილიც. აი, ამ წვლილის მაჩვენებელი ციფრებიც: ყველა ოლიმპიადაში საქართველოდან მონაწილეობდა 97 სპორტსმენი. აქედან ოქროს მედალი მოიპოვა 20-მა (მათ შორის ვ. სანეევი სამგზის ჩემპიონია, ლ. თედიაშვილი კი — ორგზის), ვერცხლის მედალი დაიმსახურა 16 სპორტსმენმა, ბრინჯაოსი — 24-მა. ესე იგი სულ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს მოპოვებული აქვთ 60 მედალი. IV-VI ადგილებზე გასულია 13 სპორტსმენი. ჩვენმა წარგზავნილებმა საბჭოთა ნაკრებს 234,15 ქულა მისცეს.

13. ლექცია-საუბრების მსვლელობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების მანძილზე თანდათან გამოიკვეთა საბჭოთა სპორტსმენის მორალური სახე.

14. დასასრულს სათანადოდ უნდა გაშუქდეს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დღევანდელი დონე, კერძოდ ითქვას ის, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი სულ უფრო სახალხო ხასიათს იღებს, სულ უფრო ფართოდ იჭრება საბჭოთა ადამიანის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას ემსახურება მრავალი მეცნიერი ჩვენი ქვეყნის სასწავლო და სამეცნიერო-ფიზკულტურულ დაწესებულებებში. მასობრიობა განაპირობებს სპორტსმენთა რიგების ზრდასაც, რომელთა ერთი მოწინავე ნაწილის დიდი გამოცდა იქნება მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მოსკოვმა საქმით მოიპოვა. იგი ჭეშმარიტად არის დიდი სპორტული სახელმწიფოს სპორტული დედაქალაქიც. ამჟამად გაჩაღებულია მზადება XXII თამაშებისთვის. მოსკოვში ჩამოვა დაახლოებით 12 ათასი სპორტსმენი, 300 ათასამდე ტურისტი, შენდება მრავალი ახალი ბაზა; მარტო შედეგების ინფორმაციისათვის სხვადასხვა ბაზებზე 150-მდე ელექტროტაბლო უნდა დაიდგას, შეიქმნება ერთი მთავარი პრეს-ცენტრი და 18 სუბპრეს-ცენტრი, შეჯიბრებები დემონსტრირებული იქნება მოსკოვის 20 კინოთეატრში. საერთოდ კი მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს ტელევიზიის საშუალებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში 2 მილიარდი ადამიანი იხილავს. საეჭვო არ არის, მოსკოვის ოლიმპიური თამაშები მაღალორგანიზებულად ჩატარდება.

შენიშვნა: სასურველია, თუ ლექტორი გამოიყენებს მასალებს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ცხოვრებიდან, ადგილობრივი მონაცემების მიხედვით გაამახვილებს ყურადღებას იმ ნაკლოვან მხარეებზეც, რომელთა გამოსწორებაც უფრო მაღალ დონეზე აიყვანს ამა თუ იმ რაიონის, სკოლის, დაწესებულების, საკოლმეურნეო სოფლის სპორტულ ცხოვრებას. ამ შემთხვევაში ლექტორს დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 3 ივნისის დადგენილება რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განვითარების თაობაზე.

ასევე სასურველია, თუ ლექცია-საუბრების დროს გამოყენებული იქნება კინოფილმები, დიაპოზიტივები და სხვა თვალსაჩინო მასალა.

ძირითადი ლიტერატურა

ქართულ ენაზე

სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბილისი, 1976.

ფიზიკური კულტურა და სპორტი დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარების თაობაზე), „ლელო", 1974, 7 ივლისი, № 133.

მ. გორგაძე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია, თბილისი, 1975.

მ. გორგაძე, ნარკვევები საქართველოს ფიზკულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1959.

ნ. გუგუშვილი, ოლიმპიური ემბლემით სამყაროს გარშემო, თბილისი, 1974.

ა. ციბაძე, საბჭოთა სპორტსმენის მორალური სახე, თბილისი, 1975.

რუსულ ენაზე

ძირითადი დადგენილებები, ბრძანებები და ინსტრუქციები ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე, მოსკოვი, 1959.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია, მოსკოვი, 1975.

ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში, მოსკოვი, 1967.

ბ. ხავინი, ყველაფერი ოლიმპიური თამაშების შესახებ. მოსკოვი, 1974.

სისწრაფით, შეუპოვარი თამაშით...

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 16 მარტი. 102 ათასი მაყურებელი.

„დინამო“ (კიევი) — „ბაიერნი“ (მიუნხენი) 2:0 (0:0).

მსაჯები: ლინემაიერი, ფაკლერი, გორიუპი (ყველა — ავსტრია).

„დინამო“: რუდაკოვი, კონკოვი, მატვიენკო, ფომენკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი (სლობოდიანი, 61-ე წუთი), ონიშჩენკო, ბურიაკი, ბერეჟნოი, ბლოხინი.

„ბაიერნი“: მაიერი, ანდერსონი, გრუბერი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, როტი, რომენიგე, ტორსტენსონი (ცირშნერი, 89-ე წუთი), კიუნკელი (ენალი, 77-ე წუთი), ჰეონესი, კაპელმანი.

გოლები: ბურიაკი (81-ე წუთზე პენალტიდან), სლობოდიანი (86-ე წთ.).

როგორც ცნობილია, 1975 წელს ოლეგ ბლოხინმა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის სახელი მოიხვეჭა. ამასთან დაკავშირებით ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის“ წარმომადგენელმა ჟან კორნიუმ ოლეგ ბლოხინს გადასცა ყოველკვირეულ „ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციული პრიზი „ოქროს ბურთი“.

102.000 მაყურებელი, რაც კიევის სტადიონმა დაიტია და ტელევიზორებთან მჯდარი მილიონობით გულშემატკივარი მოწმე გახდა მეტად საინტერესო და წარმტაცი მატჩისა. ჩვენ არ შევუდგებით იმის გამეორებას, რაც მაყურებელმა ნახა. სჯობს სპეციალისტებს მოვუსმინოთ:

„ბაიერნის“ მწვრთნელი დ. კრამერი: „მატჩის შედეგი კანონზომიერად მიმაჩნია, რადგან კიევის გუნდი ახლა ჩვენზე ძლიერია. კიეველები ფიზიკურად უკეთ იყვნენ მომზადებული და გააზრებულად თამაშობდნენ. ჩემთვის ცნობილია ისიც, რომ მათ ამ სეზონში, მეოთხედფინალამდე სერიოზული მატჩები არ გაუმართავთ. „დინამოდან“ მე გამოვყოფდი ნახევარმცველ კონკოვს, რომელიც განსაკუთრებით მომეწონა მეორე ტაიმში. მან შეძლო ის, რასაც კარგად აკეთებს ბეკენბაუერი: მეტოქეთა იერიშებისას ბურთის ჩაჭრა, წინსვლის სწრაფი გაგრძელება, მოწინააღმდეგე მოიერიშეებისა და დაცვის ურთიერთმოქმედების უეცარი შეწყვეტა, მოვლენათა მსვლელობის საუკეთესოდ დაგეგმვა“.

„დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი: „კმაყოფილი ვარ იმით, რომ ჩვენმა გუნდმა შეასრულა დავალება — რაც შეიძლება იშვიათად დაეთმო ბურთი მიუნხენელებისთვის. პრესინგი თითქმის მთელ მინდორზე გამოგვივიდა. საწყენი იქნებოდა, რომ ამ მატჩში საჭირო შედეგი არ მოგვეპოვებინა. ძალიან დიდი ძალა შევალიეთ მიზნის მიღწევას. საგოლე მომენტები ხშირი იყო“...

„ბაიერნის“ კაპიტანი ფ. ბეკენბაუერი: „გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენი გუნდის ბედი უკვე მიუნხენის მატჩის დამთავრების მერე მაწუხებდა. ეს შეხვედრა ხომ მინიმალური ანგარიშით მოვიგეთ. დინამოელებმა გვაჯობეს სისწრაფით, შეუპოვარი თამაშით“.

„დინამოს“ კაპიტანი ამ შეხვედრაში მ. ფომენკო იყო. „ძირითადმა“ კაპიტანმა ვ. კოლოტოვმა მუხლის ოპერაცია გადაიტანა, შინ იყო და თავისი გუნდის მატჩს ტელეეკრანზე ალბათ პირველად ადევნებდა თვალს. აი, რა თქვა მან: „ჩვენი გუნდის თამაში, გამარჯვება და ნახევარფინალში გასვლა ჩემთვის ყველაზე კარგი წამალია. ბიჭებმა კარგად ითამაშეს, მე კი მატჩის ბოლო წუთამდე საოცრად ვღელავდი“.

ფეხბურთი

შეხვედრის არბიტრი ე. ლინემაიერი: „ორივე პენალტი უდავო იყო. ეს იყო საკმაოდ კორექტული და საინტერესო მატჩი“.

მატჩის კომისარი, უეფა-ს წარმომადგენელი ვ. ბაკი (პოლონეთი): „ჩემი აზრით, მსაჯებმა თითქმის უშეცდომოდ ჩაატარეს შეხვედრა. დინამოელებმა გაიმარჯვეს თამაშის უკეთესი ორგანიზაციის წყალობით“.

• • •

კიეველთა გარდა, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ „ლივერპული“ (ინგლისი), „ბორუსია“ (გფრ) და „ციურიხი“ (შვეიცარია). „ლივერპულმა“ დაამარცხა საფრანგეთის „სენტ-ეტიენი“ ანგარიშით 3:1 (პირველი მატჩი ფრანგებმა მინიმალური ანგარიშით მოიგეს — 1:0). „ბორუსიამ“ მოუგო ბელგიის ჩემპიონს „ბრიუგეს“ — 1:0 (პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2). „ციურიხმა“, მართალია, წააგო შეხვედრა დრეზდენის „დინამოსთან“ (2:3), მაგრამ მაინც გავიდა ნახევარფინალში, ვინაიდან შვეიცარიელებმა თავიანთ მინდორზე გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 6 და 20 აპრილს. გუშინ ციურიხში მოეწყო წილისყრა, რის შედეგადაც ცნობილი გახდება ვინ ვის შეხვდება ნახევარფინალებში.

თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალებში გავიდნენ „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი), „ანდერლეხტი“ (ბელგია), „ჰამბურგი“ (გფრ) და „ნაპოლი“ (იტალია).

უეფა-ს თასის გათამაშების ნახევარფინალისტები არიან: „ატლეტიკო“ (ბილბაო, ესპანეთი), აეკ-ი (საბერძნეთი), „იუვენტუსი“ (იტალია) და „რესინგ უაიტი“ (ბელგია).

კიდევ სამი მატჩი

სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელები გაემგზავრნენ ტუნისში, სადაც ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან ჩაატარებენ შეხვედრას. ეს მატჩი კვირას გაიმართება. მერე საბჭოთა ფეხბურთელები შეხვდებიან იუგოსლავიის ნაკრებს (23 მარტს) და ბელგიის საკლუბო გუნდს „ლოკერენს“ (27 მარტს). 28 მარტს ნაკრების მოთამაშეები თავიანთ კოლექტივებს დაუბრუნდებიან და საკავშირო ჩემპიონატისთვის მზადებაში ჩაებმებიან.

გამგზავრების წინ ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ნ. სიმონიანმა დაასახელა ფეხბურთელები, რომლებიც ამ ტურნეში მიიღებენ მონაწილეობას. მეკარეები — ვ. ასტაპოვსკი, ი. დეგტიარევი; მცველები — ვ. კრუგლოვი, ა. ნოვიკოვი, შ. ხინჩაგაშვილი, ხ. ოლშანსკი, ვ. ლოვჩევი; ნახევარმცველები — ა. მინაევი, ა. ტარხანოვი, ა. მაქსიმენკოვი, ვ. ტროშკინი, ა. კონკოვი, ლ. ბურიაკი; თავდამსხმელები — ვ. ონიშჩენკო, ო. ბლოხინი, დ. ყიფიანი, ვ. ფიოდოროვი, ნ. პეტროსიანი.

ბელორუსიის დედაქალაქში მოეწყო შეიარაღებული ძალების პირველობა დარბაზებისთვის. ამ შეჯიბრების მონაწილე ორმა სიმაღლეზე მხტომელმა 227 სანტიმეტრი გადალახა. ესენი არიან ა. გრიგორიევი (სურათზე მარჯვნივ) და ს. მოლოტილოვი. სსრ კავშირისა და ევროპის უწინდელი რეკორდი დარბაზებისთვის ვ. ბრუმელს ეკუთვნოდა.

ერთი კვირის შემდეგ გრიგორიევმა ამ შედეგს კიდევ ერთი სანტიმეტრი დაუმატა.

(საკდესის ფოტო).

მძლეოსნობა

მინსკში, ბელორუსიის სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის მანეჟში გაიმართა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში. კუიბიშევის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის მოსწავლემ გ. ბელკოვმა 225 სმ სიმაღლე გადალახა და იერიში მიიტანა საკავშირო რეკორდზე. მეორე ცდაზე იგი სულ ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ამჯერად 229 სმ დაუძლეველი აღმოჩნდა.

ბირთვის კვრაში მოსკოველმა ნ. შმელიოვამ გოგონათა საკავშირო რეკორდი დაამყარა — 16,81 მ.

ყარაგანდაში გაიმართა ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლების ზამთრის პირველობა. ბიჭებიდან ბირთვის კვრაში ყველას აჯობა 16 წლის თბილისელმა გ. საბანაძემ (სიმაღლე 190 სმ, წონა 110 კგ). — 13,65 მ.

რეკორდი სტარტზე

ბაქოში დაიწყო საკავშირო თასის გათამაშების ფინალური შეჯიბრება წყალქვეშ ცურვის ჩქაროსნულ სახეობებში. პირველივე დღეს 26 წლის ტალინელმა ა. კარაზაევმა 800 მეტრი აკვალანგებით 6 წუთსა და 39,7 წამში გაცურა. ეს 4,4 წამით სჯობს მისსავე ამას წინანდელ მსოფლიო რეკორდს.

შეჯიბრებაში მონაწილეობს 14 გუნდი, რომელთა შემადგენლობაში არიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო რეკორდსმენები.

თხილამურები

სიქტივკარში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი თხილამურებით რბოლაში. გამოვლინდა კიდევ ორი ჩემპიონი. ქალთა შორის 5 კილომეტრზე ასპარეზობაში სარეკორდო

შედეგით გაიმარჯვა გ. კულაკოვამ („ტრუდი“) — 15.04,03. ვერცხლის მედალი წილად ხვდა რ. სმეტანინას (სოფლის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები) — 15.11,58, ბრინჯაოსი — ზ. ამოსოვას („ტრუდი“) — 15.27,30.

ვაჟები 15 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. საბჭოთა კავშირის ნაკ-

რების წევრებიდან მხოლოდ ს. საველიევმა (შეიარაღებული ძალები) შეძლო პრესტიჟის დაცვა. მან ოქროს მედალი მოიგო — 43.33,27. II და III ადგილებზე გავიდნენ წლევანდელ სეზონამდე ნაკლებად ცნობილი სპარტაკელი მოთხილამურეები ნ. ზიმიატოვი (44.07,42) და ა. ზავიალოვი (44.15,7).

კალენდარი

სსრ კავშირის ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა

მეორე წრე

ივლისი

23. „დინამო“ (თბ.) — „ზარია“, „დინამო“ (მ.) — „ტორპედო“, „არარატი“ — „შახტიორი“, „კარპატი“ — „ქაირათი“, „ზენიტი“ — „დნეპრი“, „კრ. სოვეტოვი“ — „დინამო“ (კ.), „ნეფთჩი“ — „ჩერნომორეცი“.

აგვისტო

17. **„დინამო“ (თბ.)** — ცსკა, „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“, „დნეპრი“ — „დინამო“ (კ.), „არარატი“ — „კრ. სოვეტოვი“, „ქაირათი“ — „დინამო“ (მ.), „ნეფთჩი“ — „ზენიტი“, „კარპატი“ — „შახტიორი“, „ჩერნომორეცი“ — „ზარია“.

21. **„დინამო“ (თბ.)** — „დინამო“ (მ.), „ტორპედო“ — „ზარია“, „დნეპრი“ — „შახტიორი“, „დინამო“ (კ.) — „ჩერნომორეცი“, „არარატი“ — ცსკა, „ნეფთჩი“ — „კრ. სოვეტოვი“, „ქაირათი“ — „ზენიტი“.

22. „ლოკომოტივი“ — „კარპატი“.

25. ცსკა — „ნეფთჩი“, „კრ. სოვეტოვი“ — „ქაირათი“.

26. **„ზენიტი“ — „დინამო“ (თბ.)**, „დინამო“ (მ.) — „არარატი“, „ჩერნომორეცი“ — „კარპატი“, „დნეპრი“ — „ტორპედო“, „შახტიორი“ — „ლოკომოტივი“, „ზარია“ — „დინამო“ (კ.).

29. ცსკა — „ქაირათი“.

30. **„კრ. სოვეტოვი“ — „დინამო“ (თბ.)**, „დინამო“ (მ.) — „ნეფთჩი“, „ზენიტი“ — „არარატი“, „შახტიორი“ — „დინამო“ (კ.), „კარპატი“ — „დნეპრი“, „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“, „ზარია“ — „ლოკომოტივი“.

სექტემბერი

3. **„დინამო“ (თბ.)** — „ქაირათი“, „ტორპედო“ — „შახტიორი“, „დნეპრი“ — „ზარია“, „ზენიტი“ — ცსკა, „კარპატი“ — „დინამო“ (კ.), „არარატი“ — „ნეფთჩი“.

4. „დინამო“ (მ.) — „კრ. სოვეტოვი“.

5. „ლოკომოტივი“ — „ჩერნომორეცი“.

10. **„ნეფთჩი“ — „დინამო“ (თბ.)**, „დინამო“ (მ.) — „ლოკომოტივი“, „დინამო“ (კ.) — „ტორპედო“, „შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“, „ზარია“ — „კარპატი“, „ქაირათი“ — „არარატი“, „კრ. სოვეტოვი“ — „ზენიტი“.

11. ცსკა — „დნეპრი“.

17. „ლოკომოტივი“ — „ზენიტი“.

18. **„დინამო“ (თბ.)** — „არარატი“, „ტორპედო“ — „კარპატი“, „დინამო“ (კ.) — „დინამო“ (მ.), „ქაირათი“ — „ნეფთჩი“, „დნეპრი“ — „ჩერნომორეცი“, „შახტიორი“ — „ზარია“.

19. ცსკა — „კრ. სოვეტოვი“.

24. **„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (თბ.)**, ცსკა — „დინამო“ (კ.), „კრ. სოვეტოვი“ — „ტორპედო“, „ზენიტი“ — „დინამო“ (მ.), „ნეფთჩი“ — „შახტიორი“, „ზარია“ — „ქაირათი“, „კარპატი“ — „არარატი“.

25. „ლოკომოტივი“ — „დნეპრი“.

ოქტომბერი

1. ცსკა — „დინამო“ (მ.).

2. **„დინამო“ (თბ.)** — „კარპატი“, „ტორპედო“ — „ზენიტი“, „დინამო“ (კ.) — „ლოკომოტივი“, „დნეპრი“ — „კრ. სოვეტოვი“, „არარატი“ — „ჩერნომორეცი“, „ქაირათი“ — „შახტიორი“, „ნეფთჩი“ — „ზარია“.

7. „ლოკომოტივი“ — ცსკა (მე-16 ტურის მატჩი).

11. „დინამო“ (მ.) — „დნეპრი“.

12. **„შახტიორი“ — „დინამო“ (თბ.)**, „ტორპედო“ — ცსკა, „ზენიტი“ — „დინამო“ (კ.), „კრ. სოვეტოვი“ — „ლოკომოტივი“, „ზარია“ — „არარატი“, „კარპატი“ — „ნეფთჩი“, „ჩერნომორეცი“ — „ქაირათი“.

22. „ლოკომოტივი“ — „ქაირათი“, „შახტიორი“ — „დინამო“ (მ.), „ზარია“ — „ზენიტი“, „კარპატი“ — ცსკა, „დნეპრი“ — „არარატი“, „ჩერნომორეცი“ — „კრ. სოვეტოვი“.

23. **„ტორპედო“ — „დინამო“ (თბ.)** — „დინამო“ (კ.) — „ნეფთჩი“.

26. სარეზერვო დღე.

29. **„დინამო“ (თბ.)** — „დინამო“ (კ.), „ნეფთჩი“ — „ტორპედო“, ცსკა — „შახტიორი“.

30. „არარატი“ — „ლოკომოტივი“, „დინამო“ (მ.) — „კარპატი“, „კრ. სოვეტოვი“ — „ზარია“, „ზენიტი“ — „ჩერნომორეცი“, „ქაირათი“ — „დნეპრი“.

ნოემბერი

3. „ლოკომოტივი“ — „ნეფთჩი“, „ზენიტი“ — „კარპატი“.

4. „დინამო“ (მ.) — „ჩერნომორეცი“.

5. ცსკა — „ზარია“.

6. **„დნეპრი“ — „დინამო“ (თბ.)**, „დინამო“ (კ.) — „ქაირათი“, „ტორპედო“ — „არარატი“, „კრ. სოვეტოვი“ — „შახტიორი“.

10. **„დინამო“ (თბ.)** — „ლოკომოტივი“, „შახტიორი“ — „ზენიტი“, „ზარია“ — „დინამო“ (მ.), „კარპატი“ — „კრ. სოვეტოვი“, „ჩერნომორეცი“ — ცსკა, „ნეფთჩი“ — „დნეპრი“, „ქაირათი“ — „ტორპედო“, „არარატი“ — „დინამო“ (კ.).

შენიშვნა: 1. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ევროპის მე-9 ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრების შედეგების შესაბამისად, იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის დადგენილი სამხრეთ ამერიკის წარმომადგენლებთან სავარაუდო შესარჩევ შეხვედრათა ვადები (უნდა ჩატარდეს 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე), რომ უცნობია 1977 წლის საკავშირო თასის გათამაშებაში გამარჯვებული, რომელმაც თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, სეზონის მეორე ნახევრის კალენდარში მოსალოდნელია ცვლილებები.

2. ა). იმის გამო, რომ „დინამო“ (კიევი) ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა (მატჩები ტარდება 6 და 20 აპრილს) „ჩერნომორეცისა“ და კიეველთა შეხვედრა 6 აპრილის ნაცვლად შედგება 29 მარტს.

ბ). იმ შემთხვევაში, თუ „დინამო“ (კიევი) გავიდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში (25 მაისი), ამ გუნდის შეხვედრა „კრილია სოვეტოვთან“ 22 მაისის ნაცვლად ჩატარდება 21 მაისს, ხოლო კიეველებისა და მოსკოვის დინამოელთა მატჩი, რომელიც 27 მაისსაა დანიშნული, გადაიდება.

სსრ კავშირის თასი

27 მარტი — ოცდამეთორმეტედფინალური მატჩები. **10 აპრილი** — მეთექვსმეტედფინალური მატჩები. **17-18 ივნისი** — მერვედფინალური მატჩები. **9-10 ივლისი** — მეოთხედფინალური მატჩები. **1 აგვისტო** — ნახევარფინალური მატჩები. **18 აგვისტო** — ფინალური მატჩი.

საერთაშორისო შეხვედრები

6 აპრილი. ევროპული თასების გათამაშების ნახევარფინალური მატჩები.

20 აპრილი. ევროპული თასების გათამაშების ნახევარფინალური მატჩები.

24 აპრილი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. სსრ კავშირი — საბერძნეთი.

30 აპრილი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. უნგრეთი — სსრ კავშირი.

10 მაისი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საბერძნეთი — სსრ კავშირი.

18 მაისი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. სსრ კავშირი — უნგრეთი.

25 მაისი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი.

26 ივნისი. სსრ კავშირის ნაკრების ამხანაგური მატჩი. მეტოქე ჯერ ცნობილი არაა.

28 ივლისი. ამხანაგური მატჩი. გდრ — სსრ კავშირი.

7 სექტემბერი. ამხანაგური მატჩი. სსრ კავშირი — პოლონეთი.

14 სექტემბერი. ევროპული თასების გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩები.

28 სექტემბერი. ევროპული თასების გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩები.

15 ოქტომბერი. ამხანაგური მატჩი. სსრ კავშირი — გფრ.

19 ოქტომბერი. ევროპული თასების გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

2 ნოემბერი. ევროპული თასების გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

სიურპრიზები

კრივი

ფრუნზე, 17 მარტი. (საკდესი). მოკრივეთა 43-ე საკავშირო ჩემპიონატმა დაასახელა უძლიერესთა პირველი ოთხეული უმჩატეს წონაში. დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტის სასახლეში დაწყებული მეოთხედფინალური შეხვედრები მოიგეს და ოთხეულში გავიდნენ ევროპის ჩემპიონი, სსრ კავშირის პირველობებში ორგზის გამარჯვებული ა. ტკაჩენკო, შეიარაღებული ძალების ჩემპიონი ა. დუგაროვი, ი. ბოგდანოვი და მ. პატიუტკო.

ამ ასპარეზობამ ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის საგზურები უნდა გასცეს. ამიტომ ბრძოლა დღითიდღე მძაფრდება. ჯერ კიდევ წინასწარმა შეხვედრებმა ბევრი სიურპრიზი შესთავაზა გულშემატკივრებს. მაგალითად, ახალგაზრდა სპორტსმენებმა ვ. კუზნეცოვმა და ა. გალუშკომ დაამარცხეს ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონები ბ. ნადიროვი და ი. ცხოროვსკი. ევროპის პირველობებში ორგზის გამარჯვებულმა, დონეცკელმა ვ. ზასიპკომ ქულებით წააგო ქვეყნის ექს-ჩემპიონთან, ერევნელ დ. ტოროსიანთან.

შეიძლება ითქვას, რომ ამდენი ახალგაზრდა სპორტსმენი საკავშირო ჩემპიონატში პირველად მონაწილეობს. ეს მოწმობს, რომ მწვრთნელები ამთავითვე გულმოდგინედ ემზადებიან 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის.

გუშინ გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები.

წყალბურთი

ფავორიტები იმარჯვებენ

ტალინსა და ძერჟინსკში გრძელდება უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების წლევანდელი ჩემპიონატის მატჩები. შეჯიბრების მეორე დღეს ტალინის ჯგუფში მხოლოდ ერთი მატჩი დამთავრდა ფრედ: მოსკოვის „დინამომ" ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება ალმაათელ თანაკლუბელებთან შეხვედრაში და ფრეს დასჯერდა — 6:6. აქ ბოლო პერიოდამდე წინ იყვნენ ყაზახეთის წარმომადგენლები — 6:5. უკანასკნელ 5 წუთში მოსკოველებმა შეძლეს ქულის გადარჩენა — 6:6. ხარკოვის „ლოკომოტივი" თავიდანვე დაწინაურდა ტაშკენტის „მეხნატთან" შეხვედრაში და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც — 8:6. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის (სსფ ცსს) წყალბურთელებმა სძლიეს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (კწფ) წარმომადგენლებს — 9:3.

პირველ შეხვედრაში მარცხის შემდეგ გამარჯვება იზეიმეს თბილისის დინამოელებმა. მათ ერთი ბურთის სხვაობით (6:5) მოუგეს ვოლგოგრადის „სპარტაკის" სპორტსმენებს. თბილისელებმა განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს მესამე პერიოდი, როცა მეტოქის კარში 3 უპასუხო ბურთი ტყორცნეს.

მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივმა დაძაბულ ბრძოლაში მოუგო „მოსკვიჩს" — 7:6. ასევე ერთი ბურთის სხვაობით დამთავრდა კიევის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" მატჩი, რომელიც უკრაინელმა წყალბურთელებმა მოიგეს — 5:4.

მესამე დღის შეხვედრებიდან აღსანიშნავია კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის წყალბურთელთა გამარჯვება მოსკოვის „დინამოს" გუნდთან — 7:6. როგორც მოსალოდნელი იყო, სსრ კავშირის ჩემპიონებმა, მოსკოველმა მეზღვაურებმა დაამარცხეს ხარკოვის „ლოკომოტივის" სპორტსმენები — 11:5. ტაშკენტის „მეხნატის" წყალბურთელებმა მოუგეს ალმაათელ დინამოელებს — 9:6.

ძერჟინსკში კიევის „დინამომ" ანგარიშით 7:6 დაამარცხა ვოლგოგრადის „სპარტაკი", „მოსკვიჩმა" სძლია თანაქალაქელ ტორპედოელებს — 4:3.

საინტერესო გამოდგა მოსკოვის უნივერსიტეტისა და თბილისის „დინამოს" გუნდების მატჩი, რომელიც გარდამავალი უპირატესობით (3:0, 1:3, 2:3, 3:1) მიმდინარეობდა. საბოლოოდ გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 9:7.

ჭიდაობა

ქართველ ძიუდოისტთა წარმატება

ტარტუში დამთავრდა საკავშირო ტურნირი ძიუდოში ახალგაზრდებს შორის. ტურნირში მონაწილეობდა 18 ქალაქის 200-მდე სპორტსმენი.

ჩვენი რესპუბლიკა დედაქალაქის ნაკრებმა გუნდით იყო წარმოდგენილი. ახალგაზრდა თბილისელმა ძიუდოისტებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს. გუნდის ექვსი წევრი — ვ. ბალხამიშვილი (60 კგ), გ. ჟღენტი (65 კგ), დ. კარიაული (71 კგ), ი. დემეტრაშვილი (86 კგ), ჰ. ლოლაშვილი (95 კგ), ზ. შერეზადაშვილი (აბსოლუტური) ჩემპიონი გახდა.

კალათბურთი

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

მოსკოვში ცსკა-მ თავის მოედანზე გამართა მეორე წრის უკანასკნელი მატჩი და გაიმარჯვა ანგარიშით 116:91 (57:48). მისი მეტოქე იყო ვილნიუსის „სტატიბა".

კიევის „სტროიტელმაც" თავის მოედანზე ითამაშა და დაამარცხა ტალინის „კალევი" — 105:88 (42:46).

თბილისის დინამოელები კაუნასში შეხვდნენ ადგილობრივ „ჟალგირისს" და წააგეს — 94:105 (51:65).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 მარტისთვის

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა	24	23	1	23
„დინამო" მოსკოვი	24	17	7	17
„სტროიტელი" კიევი	23	17	6	17
„სპარტაკი" ლენინგ.	23	16	7	16
„დინამო" თბილისი	23	15	8	15
„ჟალგირისი" კაუნ.	24	14	10	14
„კალევი" ტალინი	23	12	11	12
რტი მინსკი	22	8	14	8
ასკ რიგა	22	7	15	7
„სპარტაკი" ნიკოლ.	22	7	15	7
„სტატიბა" ვილნ.	24	6	18	6
„სპარტაკი" ვლ.	22	5	17	5
„ურალმაში" სვერდ.	22	2	20	2

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ მეორე წრის ყველა მატჩი არ ჩატარებულა, გათამაშების ცხრილში მთავრული შრიფტით გამოყოფილმა გუნდებმა უკვე მოიპოვეს ფინალური ექვსეულის ტურნირებში მონაწილეობის უფლება. დანარჩენი გუნდები VII-XIII ადგილებს გაითამაშებენ.

მოსკოვის ოლქის „სპარტაკის" კალათბურთელ ქალთა კოლექტივმა ლილიან რონკეტის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი მოიგო ანგარიშით 95:72 (53:37) და ფინალში გავიდა. მისი მეტოქე იყო სოფიის „ლოკომოტივი".

ბულგარეთში ჩატარდა მეორე ნახევარფინალური მატჩი. აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ ქალაქ პერნიკის „მინიორი" და პრაღის „სლავია". მასპინძლებმა გაიმარჯვეს (79:56) და ფინალის საგზური მოიპოვეს. მოსკოვის ოლქის „სპარტაკი" და პერნიკის „მინიორი" 30 მარტს ფინალურ მატჩს რიგაში ითამაშებენ.

ფინალში გავიდა რიგის ტტტ-ს ქალთა გუნდიც. მან იტალიაში განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი მოუგო იტალიელთა საკლუბო გუნდს „ჯეასს" ანგარიშით 75:55. ფინალში რიგელთა მეტოქე იქნება კლერმონ-ფერანის (საფრანგეთი) უნივერსიტეტის გუნდი.

პეტროსიანი ათანაბრებს ანგარიშს

ჩოკო, 17 მარტი. (საკდესი). ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის მეექვსე პარტიამ გამარჯვება პეტროსიანს მოუტანა. როგორც დიდოსტატი იური ავერბახი იუწყება, ამ შეხვედრაში ბრძოლა ლასკერის გამბიტის ცნობილი და კარგად შესწავლილი ვარიანტით გაგრძელდა. ეს ვარიანტი ჯერ კიდევ 40 წლის წინათ გამოიყენეს ალიოხინმა და ეივემ მსოფლიო პირველობაზე გამართულ მატჩში. კორჩნოიმ ალბათ იფიქრა, მეტოქის შინ მომზადებულ ხაფანგში არ გავებაო და სცადა თავი აერიდებინა ცნობილი გაგრძელებებისთვის, მაგრამ ამით ბევრს ვერაფერს მიაღწია. თეთრებით მოთამაშე პეტროსიანმა ზუსტი სვლების მთელი სერიით ძლიერი გამსვლელი პაიკი მოიპოვა. შავები იძულებული გახდნენ ლაზიერით შეეჩერებინათ იგი. პეტროსიანმა ამ პაიკით შებოჭა მეტოქის ძალები და დაიწყო აქტიური ბრძოლა მეფის ფრთაზე. შავებმა ღრმა დაცვას მიმართეს, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. თეთრმა ფიგურებმა დაუყოვნებლივ მიიტანეს იერიში მათი ბანაკის სუსტად დაცულ ადგილებზე. 36-ე სვლაზე პეტროსიანმა ეტლი შესწირა, ოცდამეჩვიდმეტეზე კი შამათი გამოუცხადა მეტოქეს.

ამგვარად, მე-6 პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 3:3.

ლიუცერნში პოლუგაევსკიმ და მეკინგმა ყაიმით დაამთავრეს მეოთხედფინალური მატჩის მეშვიდე პარტია. წინაა პოლუგაევსკი — 4:3.

როტერდამში ლარსენისა და პორტიშის მეშვიდე შეხვედრა გადაიდო. ლიდერობს პორტიში — 4:2.

რეიკიავიკში სპასკიმ და ჰორტმა ყაიმით დაამთავრეს მეოთხედფინალური მატჩის მეცხე პარტია. მატჩში წინ არის სპასკი — 5:4.

ჭადრაკი

ბად-ლაუტერბერგი, 18 მარტი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში მიმდინარე დიდ საერთაშორისო ტურნირში კვლავ ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ა. კარპოვი. ათი ტურის შემდეგ მას 8 ქულა აქვს. მეცხრე ტურში კარპოვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა უ. ანდერსონთან (შვეცია), მეათეში მოუგო რ. ჰიუბნერს (გფრ), რომელიც ახლა უკვე ორი ქულით ჩამორჩება ლიდერს.

სათამაშო დარჩა ხუთი ტური.

თანამედროვე ხუთჭიდი

ისევ ლედნიოვი

ლვოვი, 16 მარტი. შეიარაღებული ძალების თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში სამი ოლიმპიადის პრიზიორის პ. ლედნიოვის გამარჯვებით დამთავრდა. 34 წლის ლვოველმა ათლეტმა პირველი დღიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ხუთჭიდის ჯამში 5296 ქულა მოაგროვა. ლედნიოვმა კარგი შედეგი მოიპოვა ტყვიის სროლაში, სადაც 200 შესაძლებლიდან 197 ქულა დააგროვა. თუმცა, ამ სახეობაში საუკეთესო იყო ს. ლუკიანენკო (199 ქულა), რომელსაც საბოლოოდ III ადგილი ხვდა. II ადგილზეა ლვოველი ლ. ივანოვი.

გიგანტი ტრამპლინი

პრაღა. ჩეხოსლოვაკიელებს განზრახული აქვთ ააგონ გიგანტი ტრამპლინი, რომელზეც ნახტომის სიგრძე 170 მეტრს მიაღწევს. მშენებლობის გეგმა მოიწონა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფის) ტრამპლინიდან ხტომის საგანგებო კომისიამ, ოღონდ, მისი წინადადებით, კუთხე დაშვების გორასა და მიწის ზედაპირს შორის 40 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს.

სამშენებლო სამუშაოები წლეულს უნდა დაიწყოს. ახალი ტრამპლინი სიდიდით მეექვსე იქნება ობერსტდორფის (გფრ), კულმის (ავსტრია), პლანიცის (იუგოსლავია), ვიკესუნის (ნორვეგია) და აირონვუდის (აშშ) ბაზების შემდეგ. იგი მწყობრში ჩადგება 1979 წელს, „თხილამურებით ფრენის კვირეულის" დროს. იმავე წელს პლანიცაში მოეწყობა მსოფლიო ჩემპიონატი თხილამურებით ფრენაში.

(საკდესი).

თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და მწვრთნელთა საყურადღებოდ!

იმ მწვრთნელებისთვის, რომლებსაც დაწესებულ ვადებში არ გაუვლიათ ატესტაცია, დაინიშნა დამატებითი დღე — 21 მარტი. ატესტაცია დაიწყება 15 საათზე.

ტაჯიკეთის დედაქალაქის მახლობლად მდებარე ხოჯა — ობიგარმის მაღალმთიანი პლატო სათხილამურო სპორტის მიმდევართა საყვარელი ადგილია. აქ, ზღვის დონიდან 2400 მეტრ სიმაღლეზე მათ ელით სუფთა ჰაერი, ჩახჩახა მზე, თოვლის სივრცეები. ტურბაზა „ვარზობს" დასვენების დღეებში მრავალი დუშანბელი აკითხავს.

(საკდესის ფოტო).

მეტიუზი კიდევ ითამაშებს...

პრაღა. ჩეხოსლოვაკიაში სტუმრად მოიწვიეს თავის დროზე სახელგანთქმული ფეხბურთელი სტენლი მეტიუზი, რომელმაც ინგლისის ნაკრების სახელით 88 მატჩში ითამაშა და 50 წლისაც კი მონაწილეობდა თავისი ქვეყნის ჩემპიონატში.

მეტიუზი ახლა 62 წლისაა. ჩეხოსლოვაკიაში სტუმრობის დროს იგი დაესწრო უმაღლესი ლიგის გუნდის „სლავიის" საწვრთნელ მეცადინეობას, ნახა პრაღის „სპარტას" და „ტეპლიცეს" შორის გამართული მატჩი.

ამ ზაფხულში მეტიუზი ისევ აპირებს პრაღაში ჩამოსვლას. როგორც თვითონ ამბობს, ინგლისური ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი ამჯერად სხვათა გულგრილი მეთვალყურე არ იქნება. იგი თავადაც გამოვა მინდორზე ვეტერანთა გუნდის შემადგენლობაში.

(საკდესი).

„ოლიმპიკი" დაისაჯა

თასების მფლობელთა თასზე მატჩის დროს, როდესაც მარსელის „ოლიმპიკი" იღებდა ინგლისის გუნდს — „საუთჰემპტონს", მაყურებლები ძალიან გამომწვევად იქცეოდნენ სტუმრებისა და მსაჯების მიმართ.

ამასთან დაკავშირებით უეფა-მ „ოლიმპიკი" 3000 შვეიცარული ფრანკით დააჯარიმა და გამოაცხადა, რომ თუკი ფრანგული კლუბი კვლავ მოიპოვებს ამ ტურნირში თამაშის უფლებას, ერთ მატჩში საკუთარ მინდორზე გამოსვლის ნება არ ექნება.

ორი ქათხა ლუდი — სამუდამო დისკვალიფიკაცია

როგორც შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, ეროვნული ნაკრების ყოფილ კაპიტანს კუნსას (63 მატჩი ნაკრებში, რაც ეროვნულ რეკორდს უდრის) და პფისტერს ამიერიდან სამუდამოდ ეკრძალებათ ამ გუნდში გამოსვლა.

რაშია საქმე? მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში ოსლოში ნორვეგიელებთან თამაშის შემდეგ კაპიტანი და მეორე ფეხბურთელი საათნახევრით უფრო გვიან მივიდნენ სასტუმროში, ვიდრე ეს მწვრთნელის მიერ იყო დანიშნული, ამავე დროს მათ აღიარეს, რომ ორ-ორი კათხა ლუდი დალიეს.

სწორედ ამან გამოიწვია ამ ფეხბურთელების სამუდამო დისკვალიფიკაცია.

ფეხბურთი. თბილისის ჩემპიონატი. 20 მარტი. მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" სტადიონი. „მაუდ-კამვოლი" — ავტოშემკეთებელი ქარხანა, ტაქსომოტორების პარკი № 3 — ელმავალშემკეთებელი ქარხანა. პირველი მატჩის დასაწყისი 12 საათზე.

ძალოსნობა. ფარიკაობის დარბაზი (ჭავჭავაძის პრ. № 49-ვ). დღეს და ხვალ. **საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი.** დასაწყისი 12 ს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

8 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07617